საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1123

10 11 2016წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია" - მეხუთე კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ექსპერტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) [redacted] სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ²" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016 წლის 10 ნოემბრიდან 2016 წლის 14 ნოემბრამდე გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია" - მეხუთე კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

გ) მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილება;

დ) კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება.

2. მონიტორინგის ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

2.1. მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირებისათვის, რაც გულისხმობს:

ა) დოკუმენტის მომზადებას, რომელიც ასახავს პილოტირების მონიტორინგის მიზანსა და მეთოდოლოგიას;

ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის მიმდინარეობის (პროცესის) მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნას.

2.2. საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირების მონიტორინგის გეგმის შემუშავება.

3. მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე;

4. კონკურსის შედეგად, მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 3139 ლარის ოდენობით;

5. მონიტორინგის ექსპერტის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

6. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

8. დაევალოს საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი

თამარ სანიკიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1124

10 11 2016წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მესამე კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) [redacted] სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის 10 ნოემბრიდან 2016 წლის 14 ნოემბრამდე გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მესამე კომპონენტის ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) საგანმანათლებლო სფეროში 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, არანაკლებ 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში;

გ) პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) ტრენერად მუშაობის ან ფოკუს ჯგუფების ორგანიზებასა და მათთან მუშაობის გამოცდილება.

1.1.1. უფროსი ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

1.1.1.1. სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული სტანდარტების/შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი, კერძოდ:

ა) პროფესიული სტანდარტების, შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების ანალიზი საერთაშორისო კონტექსტში (თითოეულ კვალიფიკაციაზე არანაკლებ ორი ქვეყნის პრაქტიკის მიმოხილვა);

ბ) არსებული კვალიფიკაციების მიმართების დადგენა, როგორც დასაქმების, ასევე, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ISCO, ISCED);

გ) დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების ანალიზის საფუძველზე მომზადებული მასალის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებთან (მეცნიერები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასოციაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვ.) განხილვა, შესაბამისი უკუკავშირის მიღება და დოკუმენტირება.

1.1.1.2. ანალიტიკური ანგარიშის - „პროფესიული კვალიფიკაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში" - მომზადება, რაც გულისხმობს:

ა) ანგარიშის პირველადი ვერსიის მომზადებას და განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან, ორი ქვეყნის პრაქტიკის მიმოხილვას;

ბ) არსებული კვალიფიკაციების მიმართების დადგენას, როგორც დასაქმების, ასევე განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ISCO, ISCED).

გ) დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების ანალიზის საფუძველზე მომზადებული მასალის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებთან (მეცნიერები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასოციაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვ.) განხილვას, შესაბამისი უკუკავშირის მიღებაა და დოკუმენტირებას.

1.1.1.3. განხორციელებული საქმიანობის შესახებ შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება.

1.1.2. უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.1.3. კონკურსის შედეგად, უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 3206 ლარის ოდენობით;

1.2. ექსპერტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) საგანმანათლებლო სფეროში, მათ შორის, პროფესიული განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება;

გ) პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება.

1.2.1. ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

1.2.1.1. სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული სტანდარტების/შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების შესწავლა - ანალიზი, კერძოდ:

ა) პროფესიული სტანდარტების, შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების ანალიზი საერთაშორისო კონტექსტში (თითოეულ კვალიფიკაციაზე არანაკლებ ორი ქვეყნის პრაქტიკის მიმოხილვა);

ბ) არსებული კვალიფიკაციების მიმართების დადგენა, როგორც დასაქმების, ასევე, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ISCO, ISCED).

1.2.1.2. დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების ანალიზის საფუძველზე მომზადებული მასალის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებთან (მეცნიერები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასოციაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვ.) განხილვა, შესაბამისი უკუკავშირის მიღება და დოკუმენტირება.

1.2.2. ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 2 ადგილზე.

1.2.3. კონკურსის შედეგად, ექსპერტის თანამდებობაზე შეჩეულ პირებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე.

1.2.4. ექსპერტის შრომის ანაზღაურება, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, განისაზღვროს 1794 ლარის ოდენობით;

1.3. უფროსი ექსპერტისა და ექსპერტის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე თითოეული კანდიდატი უნდა ფლობდეს ინფორმაციას შემდეგი დოკუმენტების შესახებ:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

გ) „პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება.

დ) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);

ე) განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED);

ვ) პროფესიული სტანდარტები;

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები.

1.4. უფროსი ექსპერტისა და ექსპერტის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

1.5.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი თამარ სანიკიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ეროვნული ცენტრი
PUBLIC LAW - NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566